№ 22 1883—1896 15—30 ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

ოფიციალური განყოფილება.

უწმიდესის სინოდის გადაწყვეტილება.

2—12 ოქტომბრიდან 1896 წ. მე-3057 ნომრით რუსეთის სახელმწიფოის მცხოვრებთა პირველის საყოველთაო აღწერის შესახებ.

უქაზისამებრ შისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა, უწმ. და უმართებელესმა სინოდმა მოისმინეს: წინადადება ბ. აღმასრულებლის სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობ თა, 23 წარსულის ენკენისთვიდან მე-5734 ნომრით, შინაგან საქმეთა მინისტრის მოწერილობის შესახებ, რომელშიაც (მოწერილობაში შემთხვევისაგამო რუსეთის სახელმწიფოის მცხოვრებთა პირველია საერთო აღწერისა, ის (მინისტრი) თხოულობს—წარედგინოს მას აზრი იმის თაობაზედ, ხომ არაფერი დაბრკოლება გადაეღობება წინ იმ გარემოებას, რომ საგუბერნიო და სამაზრო საალწერო კომისიებში, სადაც-კი საჭირო იქნება, დანიშნულ იქმნენ სასულიერო წოდების წარმომადგენელნი, აღრჩეულნი საეპარქიო მთავრობის მ ერ გუბერნატორებთან შეთანხმებით, ამასთანავე მინისტრი გამოსთქვამს თვისს სურვილს იმის თაობაზედ, რომ საეკლესიო და სამღვდელო მსახურთა არა თუ მხოლოდ იკისრონ თანამდებობანი მოანგარიშეთა, არამედ საზოგადოდ, რათა სასულიერო წოდებამ ყოველ მისგან დამოკიდებულ ზომათა შემწეობით დახმარება აღმოუჩინოს აღწერის წარმატებას. ბრძანეს: თუ მივიღებთ მხედველობაში მას, რომ თანახმად უმაღლესად დამტკიცებულის 1895 წელსა 5 თიბათვეს განჩინებისა შესახებ რუსეთის სახელმწიფოის მცხოვრებთა პირველის საერთო აღწერისა, შინაგან საქმეთა მინისტრს ნება ეძლევა – მოიწვიოს აღწერის საქმეში მონაწილეობის მისაღებად და დანიშნოს საგუბერნიო და სამაზრო საალწერო კომისიებში, სხვა უწყებებში მსახურნი მოხელენიც, მათთან წინდაწინ შეთანხმების შ ემდეგ, და რომ რწმუნებისამებრ როგორც გუბერნატორთა, აგრეთვე უმთავრესის საალწერო კომისიისა, რადგან მეტის მეტად ძნელია მოიძებნოს საჭირო რიცხვი კეთილ საიმედო და საკმაოდ განათლებულ მოანგარიშეებისა, სასურველია მიწვეულ იქმნენ საეკლესიო და სამღვდელო მსახურნი მოანგარიშეების თანამდებობათა აღსასრულებლად, უწმიდესი სინოდი გადაწყვეტს: ა, მიენდოს ბ. აღმასრულებელს სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობათა აცნობოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ სინოდის მხრით არავითარნი დაბრკოლებანი არ გადაეღობებიან წინ საგუბერნიო და სამაზრო საალწერო კომისიებში, სადაც კი საჭირო იქნება, სასულიერო უწყებათა წარმომადგენელთა დანიშვნას, იმ წარმომადგენელთა, რომელთაც საეპარქიო მთავრობა აღირჩევს გუბერნატორებთან შეთანხმებით და ბ, მიენდოს ეპარქიალურს მღვდელ-მთავრებს ნება დართონ რწმუნებულის მათ დამო ეპარქიების საეკლესიო და სამღვდელო მსახურებს, რათა ამ უკანასკნელებმა იკისრონ მოანგარიშეთა თანამდებობანი და, ამისგან დამოუკიდებლად, ჰქმნან თვისის მხრით განკარგულება, რომ სასულიერო წოდებამ ყოველ მისგან დამოკიდებულ ზომათა საშუალებით დახმარება აღმოუჩინოს აღწერის წარმატებას, რომელ აღწერასაც აქვს სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა; რაის შესახებ დაიბეჭდოს «საეკლესიო უწყებათა» ჟურნალში.

უწმიდესს სინოდთან არსებულის სასასწავლებლო საბჭოს მიერ.

საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის რუსეთის სახელმწიფოის მცხოვრებთა მომავალს საერთო აღწერის დროს მოანგარიშეთა თანამდებობათა მიღების ნებართვი ს მიცემის შესახებ.

ბ. შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა ბ-ნ უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორს, რო

გუბერნატორებთან და თემთა უფროსებთან სახელმწიფოის მომავლის საერთო აღწერის თაობაზედ მიწერ-მოწერის დროს აიხსნა, რომ ისინი დიდს დაბრკოლებებს ხვდებიან კეთილსაიმედო და საკმაოდ განათლებულის პირთა საჭირო რიცხვის მოპოვებაში, რომელთაც შეიძლებოდეს მიენდოს თანამდებობანი მოანგარიშეთა, რომელთ სიკარგეზეა დამყარებული აღწერის სიკარგეც. ამის გამო ბევრი გუბერნატორები სთხოვენ შინაგან საქმეთა მინისტრს შუამდგომლობას ნება მიეცესთ საეკლესიო სამრევლო სკოლების მასწავლებლებს იკისრონ თანამდებობანი მოანგარიშეთა. აცნობებს რა ამას, ბ. შინაგან საქმეთა მინისტრი დასძენს, რომ მოანგარიშეთა საადწერო შრომა გაგრძელდება 28 ქრისტეშობისთვიდან მიმდინარე წლისა პირველს თებერვლამდის 1897 წლისა და რომ იმ შემთხვევაში, უკეთუ უზრუნველ საყოფელად ესრედ დიდის სახელმწიფო საქმის წარმატებისა, როგორიც არის მომავალი აღწერა, შესაძლებელად ცნობილ იქმნება დაკმაყოფილება ხსენებულის შუამდგომლობისა, მინისტრი შინაგან საქმეთა თხოულობდა მოხდენილ ყოფილიყო შესაბამნი განკარგულებანი სასულიერო უწყებაში და მისთვის ეცნობებიათ ამის შესახებ, რათა მან თავისი მხრით ეცნობებინა გუბერნატორებისთვის. გარდა ამისა უმთავრესის საადწერო კომისიის თავმჯდომარის თანაშემწემ სენატორმა სიმეონოვმა აცნობა ბ. ადმასრულებელს სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობათა, რომ გუბერნატორთა მიერ აღძრულია კითხვა: განთავისუფლებულ იქნებიან თუ არა საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელნი თვისის სამსახურის მოვალეობათაგან აღწერის წარმოების დროს, და თანაც დასძენენ: საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთა მიერ მოანგარიშეების თანამდებობათა აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ისინი განთავისუფლებულ იქმნებიან სასწავლო საქმეთაგან, დაახლოვებით პირველ თებერვლამდის 1897 წლისა ორის კვირის ადრე და მათს განუთავისუფლებლობას სასამსახურო საქმეთაგან მიუცილებლად შეუძლია ძლიერ შეაფერხოს აღწერის წარმატება, ვინადგან ძლიერ ნაკლებად არიან ისეთი პირები, რომელთაც შეიძლებოდეს მიენდოს მოანგარიშეების თანამდებობათა აღსრულება.

უწმიდესს სინოდთან არსებულმა სასასწავლ. ბლო საბჭომ განიხილა ზემოთ ნათქვამი და არ ხედავს არავითარს დაბრკოლებასა დასაკმაყოფილებლად ამ შუამდგომლობისა და, ვინაიდგან მომავალს აღწერას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსთვის, თანახმად სინოდის დამტკიცებისა, დაადგენს: „უწყოს ამის თაობაზ დ ბ. შინაგან საქმეთა მინისტრს და ეცნობოს ცირკულიარულ დ «საეკლესიო უწყებათა» შინა დაბეჭდვით ქვემდებარე დაწესებულებათა და სასულიერო უწყების პირთა, რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლებს და წერა-კითხვის სკოლების იმ მასწავლებლებს, რომელთაც აქვთ მოწმობა მასწავლებლად წოდებისა, დაუბრკოლებლად ნება მიეცესთ იკისრონ მოანგარიშეთა მოვალეობანი მცხოვრებთა მომავალს საერთო აღწერის დროს საადწერო უბანთა გამგეობის მიერ მოწოდებით, ისე კი რომ სასწავლო საქმეთაგან იქმნენ განთავისუფლებულნი დაახლოვებით ორის კვირის წინ 1897 წლის 1 თებერვლამდე.

უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ბრძანება.

უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ბრძანებისამებრ 25 ენკენისთვიდან 1896 წ. 18 №-ით, თბილისის სასულ. სემინარიის მასწავლებელი დობრონრავოვი დანიშნულ არს გორის სასულ. სასწავლებლის ზედამხედველად (უწმ. სინოდის გადწყვ. 13 მარიამობისთვიდან 1896 წლისა).

გადაყვანილ არიან: სასულიერო სასწავლებელთა ზედამხედველები ასეთსავე თანამდებობაზედ სასულ. სასწავლებლებშივე: ოზურგეთისა — სოგინი — თელავისაში, გორისა — ბელიაევი — ოზურგეთისაში, ხოლო თელავისა — შიუკაშვილი გორის სასულ. სასწავლებელში ქართულის ენის მასწავლებლად; სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლები: კამენეცკისა — დობროლოვსკი ჯ სიმბირსკისა ნიკოლოზ არხანგელსკი მასწავლებლად ქუთ. სასულ. სემინარიაში — პირველი — მსოფლიო და რუსეთის სამოქალაქო ისტორიისა, ხოლო მეორე საღმრთო წერილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. Эსრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 22 **1883—1896** 15—30 ნოემბერი.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

„მ წ ყ ე მ ს ი“		„მწყემსი“ რუსული გამოცემით	
12 თვით . . .	3 მან.	12 თვით . . .	5 მან.
6 — . . .	2 —	6 — . . .	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Кутаиси, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ჭეშმარიტი დედა სალომე თავდგირიძის ქალი.

სალომე თავდგირიძის ასული კოჩძაიასი დაიბადა, მიახლოვებით 1815 წ., ხოლო მიიცვალა 1875 წ. განსვენებულს სალომეს, როგორც მისის ნაწერებიდანაც სჩანს, ძლიერ უყვარდა საღმრთო წერილი, და კიდევაც შეუსწავლია მას იგი მშვენივრად. ათს წელიწადს იყო სალომე ქმრის ხელში, ხოლო შემდეგ დამქვრივდა. ქმრის სიკვდილის შემდეგ იგი წავიდა იერუსალიმში იესო ქრისტეს საფლავის თაყვანისაცემლად. იქიდგან წავიდა ბეთლემში და ინახულა იორდანის წყალი, სადაც იესო ქრისტემ ნათელ იღო.

იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ სალომემ მიჰყო ხელი თეკლათის დედათა მონასტრის შენებას, რომლის აღშენებაში დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის განსვენებულს. ცოტა ხანი დაჰყო განსვენებულმა ამ მონასტერში, ხოლო შემდეგ იგი დაინიშნა მღვიმევის დედათა მონასტრის იღუმენიად დ̃ განაგება მისისავე ღვაწლით აგებულს მონასტერსაც. ორს წელიწადს მსახურებდა ეს დაუღალავი პატიოსანი

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

მუშაკი მღვიმევის მონასტერში, ხოლო შემდეგ მიიცვალა.

მრავალი შესანიშნავი დედა-კაცები ყოფილან და არიან ჩვენში, რომელნიც თავიანთი გონებით და ნიჭით სწორეთ რომ დიდათ პატივსაცემნი არიან საზოგადოებისაგან. მაგრამ, სამწუხაროდ, ამისთანა პირები საზოგადოების მიერ ხშირად შეუმჩნეველნი რჩებიან. ავიღოთ, თუგინდ, სალომე თავდგირიძის ასული. ამ ქალს ოჯახშივე მიუღია ჩვენებური — ძველებური განათლება. როდესაც ის იერუსალიმში სამგზავროდ გამზადებულა, დაუწერია ანდერძი და დარიგება თავის შვილის მიხეილისთვის. მაგრამ თავისი შვილის დარიგების დროს განსვენებულს ჰყოლია სახეში არა მარტო თავისი შვილი, არამედ ყველა ისინიც, რომელთაც შეეძლოთ ესარგებლნათ მისი დარიგებით. ქ-ნ სალომეს დარიგებაში ცხადათ გამოსჭვირს ამ ქალის მტკიცე ქრისტიანული სარწმუნოება და ზნეობა. ვინც ამ დარიგებას წაიკითხავს, იგი ცხადათ შენიშნავს, თუ რამდენათ მაღლა დგას განსვენებული ჭკუა-მეცნიერებით და გამოცდილებით ჩვენი დროის ზოგიერთ განათლებულს მანდილოსნებზე. საჭიროდ მიგვაჩნია, აქვე შეუცვლელად მოვიყვანოთ განსვენებულის მიერ დატოვებული შესანიშნავი დარიგება არა მარტო მისი შვილისა, არამედ ყველასათვის. აი ეს დარიგება, ლექსათ თქმული:

თავადის ქალი სალომე, ასული თავდგირიძისა
ვიყავ პატრონი დიდისა თავადის ძმის და ბიძისა,
მაგრამ სიყრმიდან სოფელი არ მომწონს, დიდად მიმძიმსა,
მსურს გავეცალო, ვინადგან მსგავსია მცირე ბინდისა.
რა დავყავ სოფელსა ამას ოც და თუთხმეტის წლობითა,
ვემსახურე და ვაამე დას დობით, ძმასაც დობითა,
მივეც ოჯახსა შეწევნა, ყმას — ყმობით, შვილს — დედობითა,
აწ კი ყველას ვეთხოვები, გამარჯვებით, მშვიდობითა.
აჰა, გიტოვებ ანდერძსა, სასურველს შვილს ჩემს მიხეილს,
შთავაბარებ შენს თავს ყოველს: მტერს, მოყვარეს, მიწას, ხე-ველს,
საქმეს განწმენდილს გიტოვებ, ცუდად არას შესახებელს,
მე გადავდებ თავს აწ ჩემთვის, სულზედ ძნელად მისაღწეველს.

აქამდის, შვილო, მე შენთვის დავსთმე ჩემი განზრახული,
გარდავდევი თავი ჩემი და ვქმენ შენზედ ჭირნახული;
შევაწუხე პატრონი ღ მტერ-მოყვარე თვალთ-ნახული,
სცანი შენზედ სჯაჲ ჩემი, გულში გქონდეს დამარხული.

იცი, შვილო, თუ მამაჲ შენი იყო მქონე რისა,
პატრონობდა თავის კუთვნილს, აწ მომხმარე თავის ყმისა,
ამისათვის ვაიძულე თავი ჩემი ბრძოლად მტრისა,
მისის ბრძოლით გავიმწარე მე სიცოცხლე ორის დღისა.

მამაჲ შენი ტკბილი და კაცთაგან გაუწყინარი,
სოფელი მბრძოლი ძმისა და შფოთზედან დაუძინარი,
ის იყო მონა ყოველ'ზედ, ტკბილ სიტყვით ვარდმომფინარი,
ობლად აღზრდილი, ღარიბად, და სახელ გაუჩინარი.

მე შემექნა დასახსნელად მისი ძმიდან წილი მისი,
კარგად იცი, შვილო ჩემო, ბოლო პირველ-დასაწყისი,
თუ რა ჭირნახული ვქენი, ან ვით ვიყავ მაზლის მქისი,
ამოგიგე ყოვლიფერი, შესაცილად გაქ არვისი.

ეზო, ბაღი და სახლკარი, თითოდ შესაგუებელი
გაგიწყვე და არაზედ გაქვს გული დასაჭმუნვებელი,
დაგიმკვიდრე აზრი იგი, არ სჩან მოსატყუებელი,
ამად გმართებს არ ქმნა, შვილო, რამე ჩემი უნებელი.

რაც გიანდერძო, ამაზედ კარგად მომიგდე ყურია,
თუმცა მოიხმარ, მწყალობლად გეყოფა მთელი გურია,
ოდიშზედაც მაქვს, თვით იცი, მე ბევრი ნამსახურია,
იმერეთს მყავს თავადები კეთილის მოქადულია.

აწ შენი სახლის კაცები დაგიტკბე, ძმა და ძმობილი,
ჩემი მოშურნე, მოძულე ყველაი შენდა ტკბობილი,
შემწე საქმეში მრავალი თავადი, კეთილშობილი,
გურიის ეპისკოპოსი მწყალობლად, მამად ხმობილი.

ცოლი მოგგვარე, მრავალნი არიან მისი მქებელი,
ღვთის მოშიში და მორჩილი, მლოცველი, მსასოებელი,
პატრონია და მოხელე, ცუდის რამ არ შემხებელი,
იყავ ამისთვის მარადის ღმერთზედ მარადის მდებელი.

აწი, შვილო, ჩემდა ნაცვლად დაგიტოვებ ამ ანდერძას,
იკითხე და მოუსმინე, ტკბილი შვილი ვითა დედას,
აქა კეთილი გეწვიოს, და ასცილდე იქ წაწყმედას,
ცუდს შემთხვევას ფათერაკით არ მოეგო ზედისზედას.

პირველ ამას გიანდერძებ, მოელოდე რას ვი-
საგან,
მსწრაფლად ღმერთი მოიგონე აღდგომილმან ძილი-
საგან,
გულით იწყე პირჯვრის წერა, ითხოვდე ყოველს
ღვთისაგან,
ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისგან, სულის წმიდის
და ძისაგან.
სული, გული, სასოება მიანდევი შენი ღმერთსა,
ნუ ეშიშვი ნურასფერსა, თუმცა მოიახლებ ღმერთსა,
დაიმარხო ეს ანდერძი, დაადგები ამ აზრებსა,
მას უყურე თუ რა გიყოს, ღმერთსა შენთან თანამ-
დებსა.
შვილო, იყავ ყურმიგდებით წმიდა სახარების
თქმულზე:
ქრისტეს, ჩვენის მხსნელის ჯვარცმა მარად დაისახე
გულზე,
მისის სისხლით დახსნილია, შენ ნუ გასცვლი ნურას
სულზე,
სხვა ღვაწლი სდევ თავის რჩენას, ნუ იწიწვი შოვნად
ფულზე.
იცი, ფული ნაკურთხი აქვს, უსჯულო არს
ურიანი,
ეს იცოდე, არ ცხონდება კაცი დიდი ფულიანი,
არცა ყმედი, ავაზაკი, არცა მტრელი შურიანი.
ესე ყველაი აგცილდეს გულდაგულ პირჯვრის
წერითა,
ხატის და ჯვარის მისივე სახის სურვილით მზერითა,
მისის თაყვანის ცემით და დღითი-დღე, ჯერის-ჯე-
რითა,
მით მტერმან ვერ მოგიხერხოს შენ ვნება ვერის-ვე-
რითა.
ჰე, შვილო, პირველ მცნებაში გვიბრძანებს
ღმერთი ამასა:
ღმერთი გვიყვარდეს, ვგონებდეთ, გვახსოვდეს ყოველ
წამასა,
პირველად ღმერთი ადიდე, რა ხელსა ყოფდე ჭამასა,
არას მის უდიდებელად არ ასწონდე არცა დრამსა.
მცნებას ღვთისას ემორჩილე, იცი, იგი ბრძენს
უქია,
ტვირთი მისი და უღელი ტკბილია და მსუბუქია;
ვის უყვია ესე სრულად, ნეტარ მას, ვის დაუქია,
ეს გიკვირდეს, თუ ვისაც რამ ამ სოფლისთვის წა-
უგია.

შენ, შვილო, ეს დაიმარხე, ეცადე ქრისტეს
აამო,
მწყურვალეს წყალი მიუპყარ, მშიერს საჭმელი აჭამო,
შიშველსა ყური მიუგდო, პყრობილს ნუგეში ალამო,
იყავ ტკბილი და მოწყალე, ღვთისა და კაცის საამო.
ქრისტემან კაცთმოყვარემან ყოვლად წმინდა
სისხლი მისი
ჭამად მოგვცა, და სასმელად სისხლი მისი, ვით სასმისი.
ჩვენგან ითხოვს მცირე პურსა მშიერია მონა მისი,
ჩვენ გავძღებით და არ ვაჭმევთ მშიერს ვისმეს, და
ვართ მქისი.
შენ, შვილო, აგი ისმინე, ნუ იქნები ამის მქნელი,
შენ დასთმე და სხვას აჭამე, პური თუ ან რამ საჭმელი,
რადგან ითხოვს ასე მცირეს ჩვენგან, ჩვენი ქრისტე
მხსნელი,
მით ნათლითა შეიმოსო, ჯ აგცილდეს ტანჯვა ბნელი.
იცი, ჩვენთვის ღმერთმან რა ქმნა, წინასწარ რა
განიგულა,
დაამყარა ზღვა, ჰაერი, ხმელეთი ჯ სხვა რაცა თქმულა,
მზე და მთვარე თვისდა სახედ და თვით თავი აიძულა,
ვით იყო სოფლადა მსვლელი, ანუ ჩვენთვის სად
ჯვარს ცმულა.
ჩვენ მისდა სახედ ხელქმნილი, მისი მისივე მთხო-
ველი,
აღმკულსა მისი სახითვე შთაგვბერა სული ცხოველი,
ზღვის და ხმელეთის დიდება ჩვენ სარჩოდ მოგვცა
ყოველი,
ვისგანაც სულით და ხორცით მე განათლებას მო-
ველი.
ეს გიკვირდეს, ყოვლი კაცი რად არ არის შე-
გნებული,
ვინ არს მისი, ან მისივე ბრძანებით მირონცხებული,
ბერი, მღვდელი, მონაზონი, მცირედი ჯ დიდებული,
ამა სოფლის საწუთროდან ქებული, თუ გინებული.
სად არს ჩვენი წინაპარი, სად იქნება მომავალი,
სად ვიქნებით საუკუნოდ, ან სიდან ვართ მონავალი,
ან ვისგან გვაქვს საზრდო, სარჩო, მოსაწევი, მოსა-
ვალი,
რათ არა ვართ, თუ რაზედაც განმზადების გვაქვს
რა ვალი.
წირვა-ლოცვის კრძალვით სმენით, გაცემით და
მოწყალებით,
ქვრივის, ობლის შეწყნარებით, აგრეთ გლახაკთ მო-
ყვარებით,

ნაქნართ — ნათქვამთ მონანებით, ვიქნეთ დიდის მოღვაწებით,
მოვიპოვნოთ სული ამით, ვართ ამისა მოვალებით.
მე ვიყავ, შვილო, ხომ იცი, ამ წუთისოფლის მცნობელი,
მაგრამ მე შენის სიკოდვით არ დავრჩი აზრის მწყობელი,
სახლთათვის ვჭირნახულობდი, არ ვიყავ თავის მკობელი,
ვიყავ მტერ-მოყვრის ცნობილი, საქმის სამართლად ბჭობელი.
ვიდრემდის შთავარდებოდი სრულსა მეყსიერებასა,
გავსჭვრეტდი და ავწონიდი ამა სოფლის ჭოელობასა,
ვეძიებდი სწავლას სრულსა სამღვთოს, სოფლის ხელობასა,
ამას ვთხოვდი ქრისტე ღმერთსა, დედას ღვთისას დედოფალსა,
ვყოფილიყავ ღვთის მონებით, და მსახური უფრო სულის,
აღმელო და დამემარხა თქმული ლუკა მოციქულის,
აღწერილი თითით მისით, სახარება ღვთისგან თქმულის,
მისივე მაქვს წინამძღვრობა, მანვე უწყის, რაცა მსურის.
აწ, შვილო, ამას გაუწყებ, ნუ ხარ ამ სოფლის ხლებული,
მსასოებელი, მსახური და გულით მითვისებული;
მოიღე აზრი, რასა იქს ბოლო და პირველწყებული,
სად ნახე დარჩა მდიდარი სახელოვანი, ქებული?
მდიდარს, ღარიბს, მკირედს და დიდს მოსწყევეტს, ყველას გაასწორებს,
შეცვლის ჰაერს, ცას და მიწას, გახდის მინდვრად მთას და გორებს,
ჩვენის კოდვით განამრავლებს, უსჯულოებს გაგვისწორებს,
მოვა რისხვით, აღმხოცველად, დასჭრის თავებს, დაჰყრის მძორებს.
სხვა განრჩევა, სხვა განკითხვა ენიდან არ დაითვლება,
ამ საწუთროს მსახურზედა რა იქნება, რა ითქმება?..
იფიქრე, თუ რას შეიცავს, იქ რომ წარდგეს შენი ქება,
გექნეს დგომით განკითხვის დღეს ქრისტეს მარჯვნით თანახლება
ამისათვის ნუ დაზოგავ ნურას სულის სამსახურზე,
იყავ კრძალვით აღსრულების წმიდის სახარების თქმულზე,
სახარების თქმა ისმინე, დაიდევი, გქონდეს გულზე,
განისვენებ საუკუნოდ ნათლად მის სამების სრულზე.
აწი შვილო, ამ სოფელსაც ამ სახითვე შეექეცი,
ნუ იქნები გარეგანი ოჯახზედა, ვითა მხეცი,
ცოდვა, მადლი, კარგი, ავი არის საქმე მრავალკეცი,
კარგი ჰქენი, ავს ნუ იზამ, საუნჯეში დასაკეცი.
შენს ცოლს გარდა სხვა ქალებზე გულის თქმაჲ ნუ გექნება,
შენი გვამი ტაძარია, და პირველი ღვთისა მცნება,
აგი რომ შენ შეაბილწო, იფიქრე, თუ რა იქნება,
ის არავინ მოგატყუოს, არ წაწყდე და გექნეს შვება.
გულისთქმისთვის გულს მატლი სჭამს, ქმნისთვის ცეცხლი მოედება,
საუკუნო სატანჯველი, ამგვარების განმზადება
ამგვარ კაცზე არის მუდამ, ახლავს ეშმაკების კრება,
შეგხვდეს ოდეს, მსწრაფლ დაეხსენ, აღიკვეთე, არ ქნა წყება.
ყოველს შენ ცუდს რამ შემთხვევას, ნათქვამს, ანუ ნაქნარს ხელად,
შეუდექი, მოინანე, იქ არ გაგყვეს საეჭველად,
თუმც მოიკვეთ, მონანებას არ გვიბრძანებს ქრისტე ძნელათ,
მისთვის, რომ თვით დაისაჯა, ცოდვილისა დასახსნელათ.
პირველ თავი გაიწმინდე, შვილო, წმიდა აღსარებით,
არა სახით დაიუჯო, მკირეზედ რამ დაფარებით,
მღვდელს ახლავხარ საიდუმლოდ, ქრისტეს მარჯვნით, თანახლებით,
იტყვი მართალს, გაგწმედს ქრისტე, და იქნები განათლებით.
მოდი მერმეთ და მოიღე, შვილო, წმიდა ზიარება,
ქრისტე მარჯვნით დაგიყენებს, ხლება შენი იამება,
ხედავ, ამ სოფლის დიდებას, ვარდი ხმება, ია ჭკნება,
იცოდე, რომ დღენი ჩვენი ასე მალე წაირყვნება.
მტერი მოყვრულად გიყვარდეს, მაზედ ღმერთია ძლიერი,
გეწყალოდეს, რაც ძალგედვას, სწუხდეს თუ ვინ სულიერი,
მკირე შენი მეზობელი, მშიერი და წყურიელი,
იყავ მშვიდობის მყოფელი, ქრისტიანი, სჯულიერი,

ულვთო-უწყალო კაცისას დაუხედე საბოლოოს,
არ ძალუძს ორსავ სოფელში მან ან ერთიც დაიკავოს,
ან სრულებით ამოწყდება, ან იქს რასმეს საიგაოს,
ასე რომ მის მომავალზედ მტერმან მისმან იწინაოს.
მარხვას თუ ჭამ, გიჭამია გინდა ცოტა, გინდა დიდი,
კაცის კვლაი გულში თუ გაქვს, სულ ერთია, გინდ თოფს კვრიდი,
შენ არ მოჰკლა, სხვა გზით უქნა თვით უჩინო საქმე ფლიდი,
ეს ამას ჰგავს, გაგიგდია უმზერ გზაზე ვითა ხიდი.
მუნით მისმან მავნებელმან ქნან მრავალგან მარხულობა,
ამგვარ მტრელი კაცის საქმე გაქ ხომ ცუდათ ნახულობა,
მოიკვეთე ამგვარები, მოთმენით ჰქმენ დიდსულობა,
ცუდს თუ აღიკრეფ, აღარ იქ, არის წმინდა მარხულობა.
ერთპირი იყავ, ერთსახე იქნები ორსავ სოფელსა,
სიმართლის თქმასა დაადეგ, აქებენ ბრძენნი რომელსა,
და აუგებენ ორპირსა, ხასიათ დაუდგრომელსა,
ღმერთთან სავანე არა აქვს რისხოვანსა და მწყრომელსა,
პატივსაცემს პატივი ეც, ავს და კარგს ნუ გაასწორებ,
ნურც უბრალოდ დასჯი ყმასა, ნურც მართლს მტყუვნად გამჭორებ,
რაც პირში არ განარისხო, პირს უკან ნუ გააგონებ,
სხვისი მონა შენ ნუ გინდა, შენსას სხვას ნუ დაამონებ.
სამსახური შენის ყმის შენ განურჩევლად მოიზიდე,
აგრევ შენს ყმას ნუგეშობდე; ყოვლის მხრითა მოუვლიდე,
თვალი ყმისკენ დაიკავე, რაზომსაცა გზასა ვლიდე,
შენის ყმისთვის თავი ნუ გშურს, ვისაც რათამც წაეკიდე.
სიცივ-შიმშილი შეუტყვე, და ტან-ფეხზე გყავდეს წმინდად,
რისხოვანი წყრომა ნუ გშურს, თუ შეუტყო რამე ფლიდად,
ნუცა ხშირად გაუწყრები, ზომით იყავ მძიმე, დიდად,
შენი ყმა შენ ასე გყავდეს, მსგავსად წყალზე მაგარ ხიდად.

დასასრული შემდეგში.

იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ცხოვრებიდან.

ხშირად ვკითხულობთ ხოლმე ჟურნალ-გაზეთებში სხვა და სხვა მოგონებათ გარდაცვალებული მღვდელ-მთავრების ცხოვრებიდან. ამ მოგონებათაგან ცხადათა სჩანს, რომ ზოგიერთი მღვდელ-მთავრების ცხოვრება არც ისე ბედნიერი ეოფილა, როგორც ხალხს ჰგონია. ხშირად, როგორც ლაპარაკი ჩამოვარდება მასზე, თუ ვინ უფრო კარგად და ბედნიერად ცხოვრებს ამ ქვეყანაზე, იტყვიან: „მღვდლები და მღვდელ-მთავრებიო". მაგრამ როცა ნამდვილად გამოვიკვლევთ ამ უკანასკნელთა ცხოვრებას, ვრწმუნდებით, რომ მღვდლებს და მღვდელ-მთავრებს ამ ქვეყანაზე სხვებზე თუ მეტი არა ნაკლები უსიამოვნება არ ხვდებათ.

ვინც კარგად დააკვირდება ⁄ გამოიკვლევს განსვენებული ეოვლად სამღვდელო გაბრიელის ცხოვრებას, იგი დარწმუნდება, რომ განსვენებულის ცხოვრება იეო ნიადაგ დაუსვენარი, უსიამოვნო, მწუხარება და შრომა. ძან არ იცოდა, რა იეო თავის მოფერება. როცა განსვენებული რაიმე საქმეს მიჰეოფდა ხელს, მას ვერავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი ვერ შეაჩერებდა, რომ თავისი სურვილი არ აღესრულებია. მრავალჯერ გადარჩენილა იგი სიკვდილისაგან, მაგრამ ამისთანა შემთხვევები მას არ აღუნიშნავს. ჩვენ აქ მოვიეანთ მხოლოდ ორ შემთხვევას.

ეროხელ სოფლის არგვეთის მრევლმა სთხოვა მათ მეუფებას ახლად აშენებული ეკლესიის კურთხევა. მათ მეუფებას ეკლესიის კურთხევა ძლიერ სასიამოვნოდ მიაჩნდა და

ამიტომ იშვიათად მიანდობდა სხვა სასულიერო პირს ეკლესიის კურთხევას. მათმა მეუფებამ გამოუცხადა მთხოვნელთ, რომ იგი თბილისში მიდის საქმისა გამო და ჩამოვლის დროს უვირილის რკინის გზის სადგურზე დამხვდით და იქიდან წამოვალ და გიკურთხებთ ტაძარსო. მრევლმა მადლობა შესწირა. როცა მათი მეუფება თბილისიდან დაბრუნდა და უვირილის რკინის გზის სადგურზე ჩამობრძანდა, მკითხა ამ სტრიქონების დამწერს: არგვეთიდან ხომ არავინ მიცდის აქ? აქ გახლავთ ბლაღოჩინი და სახოგადოების გამოგზავნილნი კაცები ცხენებით, მოვახსენე მათ მეუფებას. ძლიერ კარგი, თქვა მათმა მეუფებამ, მე ჩაეს დავლევ ბუფეტში და ახლავე წავალ. მათ მეუფებას მოვახსენე: აგერ რვა საათი თავდება, ძლიერ ბნელი ღამეა, ჩემსა მობრძანდით და ღამე გაათიეთ, სვალ დილაზე წაბრძანდებით და ერთ საათზე უფრო ადრე მიბრძანდებით არგვეთაში. არა, არა, მირჩევნია ეკლესიის ახლო დავდგე, ღამეა, მაგრამ არა მიშავს რა, კარგი გზაა და წინამძღოლებიც ბევრნი არიან, ბრძანა მათმა მეუფებამ. მალე შესხდენ ეველანი ცხენებზე და წავიდენ. უვირილის სადგურიდან მარჯვნივ ჩაუარეს რკინის გზის ლიანდაგს დასავლეთისკენ და დუქნების გამთავეს ბუტკასთან რკინის გზაზე უნდა გადაევლოთ და გზატკეცილს დადგომოდენ. ამ დროს რკინის გზის მატარებელი გამოვიდა უვირილის სადგურიდან. ოოვლად სამღვდელოს რამდენიმე მხლებელნი გადავიდენ რკინის ლიანდაგზე, მათი მეუფება კი შეჩერდა და უცდის მატარებლის გავლას, ბნელს ღამეში რკინის გზის ლიანდაგი არა სჩანს და წინ მიმავალ კაცებს ჰგონიათ, რომ მათი მეუფება გადავიდა რკინის გზის ლიანდაგზე. უ-დ სამღვდელო კი თურმე ისე ახლოს დამდგარა რკინის ლიანდაგთან, რომ მატარებელი დაეტაკა მათი მეუფების ცხენის უკანა ერთ ფეხს და ცხენი წააქცია. ცხენი მაშინვე წამოვარდა ფეხზე, მაგრამ მათი მეუფება ჩამოვარდა ცხენიდან და, რადგან უზანგიდან ერთი ფეხი დროზე ვერ გამოიღო, კარგა მანძილზე გაათრია ცხენმა. ცხენს იარაღი მოძვრა ზურგზე და მუცლისკენ ამოეკრა. ამ დროს მათმა მეუფებამ ფეხიც გაინთავისუფლა უზანგისაგან. მხლებლებმა შენიშნეს მათი მეუფების ცხენი და გააჩერეს. ეველას თავზარი დაეცა, ეგონათ, რომ უთუოდ მატარებელმა გაიტანა მღვდელ-მთავარიო. მაგრამ მათმა მეუფებამ ხმა მისცა: „არა მიშავსო“. ბნელეში თურმე რკინის ლიანდაგი ვერ შეენიშნა და ახლოს დამდგარიეო. უცბად მატარებელმა ჩამომიქროლა, ბრძანა მათმა მეუფებამ, ცხენი შეფრთხა, თავში მოვსწიე, მან უკან დაიხია და ამ დროს, არ ვიცი მატარებელი იეო, თუ ვაგონის კიბე, ცხენს დაეჯახა, წამიქცია ცხენიც და მეც გადმომაგდო. ფეხი დამრჩა აბჯანდაში და გამითრია ცხენმა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, მალე გამოვიღე ფეხი აბჯანდიდან. ნახეს, რომ ცალ ფეხზე მაო მეუფებას კალოში აღარ ჰქონდა. აანთეს სანთელი და დაიწყეს კალოშის ძებნა. კალოში ვეღარ ნახეს. ბოლოს დაანებეს თავი კალოშის ძებნას და მათ მეუფებას ცხენი მოართვეს. მათმა მეუფებამ მოჰკიდა ხელი მარჯვენა აბჯანდას ფეხის ჩასადგმელად და კალოში აბჯანდაში იეო გარჩენილი. აგერ არ ეოფილა კალოში აბჯანდაში? ტეუილად არ ვეძებდით, მხიარულად წამოიძახა მათმა მეუფებამ და განაგრძეს მოგზაურობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ არგვეთაში ღამის გასათევად მათი მეუფება ერთ აზნაურშვილისას დაბინავდა და შეეშზადა წირვაზ მეორე დღისათვის. მათი მეუფება ამ შეთხვევის გამო ხშირად ბრძანებდა ხოლმე: ღმერთმან გარდამარჩინა სიკვდილისაგანო.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

(გაგრძელება იქნება).

გაბრიელ ეპისკოპოსის სურათზე.

ხანგრძლივ მბრწყინავი წმინდა სხივით
დაშრტა ლამპარი,
ქართველთ დიდება, სიამაყე,
მწყემსთა მთავარი.
ზეგარდმო ნიჭით აღჭურვილი
კაცი მღთიანი,
გონებით ვრცელი, ჭკუით ბრძენი
ნეტარ სვიანი,
უსწორ-უდარო ქველ მოქმედი,
მწყემსი ქებული,
ივერთ ნუგეშად განმანათად
მღვთისგან რჩეული.
საუნჯე ერის ზნეობრივად
განახლებისა,
ცხოველი შკოლა ქრისტეს წმინდა
სწავლა, მცნებისა.
დადუმდა ენა მღვთიურ სიბრძნის
მღაღადებელი,
დაუქმდა ხელი დაცემულთა
აღმადგენელი.
განქრა ნათელი თვით მღვთის სიბრძნით,
აღცამთებელი,
დაბნელდა მხარე მისის შუქით
განათებული.
მოჰკვდა მოძღვარი ჩვენი სულის
აღმა მფრენელი,
დაბნდა ვარსკვლავი, ქრისტეს სხივის
ჩვენდა მფენელი...

თ. ქაიხოსრო გელოვანი.

მიბრძანება

მთავარ-ეპისკოპოსის საქართ. ექს. ვლადიმირისა ახალ-სენაკში და ფოთში 12 და 13 ნოემბერს.

11 ნოემბერს მთელს ფოთში გავრცელდა ხმა, რომ საქართველოს ექსარხოსი მობრძანდება ფოთში, რომ თავის თვალით დაათვალიეროს ის ადგილი, რომელსაც ქალაქი აძლევს სასულიერო მთავრობას სამეგრელოს სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლისათვის სახლის ასაშენებლად, თუ ხსენებული სასწავლებელი სენაკიდან ფოთში იქნება გადმოტანილი. საღამოს, მატარებლის მოსვლის დროს, მთელი სადგური სავსე იყო ხალხით. ქალაქის ყველა ხმოსნები და მოსამსახურე პირნი სადგურზე შეიკრიბნენ. მაგრამ რამდენიმე წამი უკლდა მატარებლის მოსვლას, რომ ჭალადიდიდან ტელეფონით ცნობა მოვიდა, რომ მათი მეუფება ახალსენაკში დარჩაო. როცა მატარებელი მოვიდა, შევიტყვეთ, რომ ექსარხოსი მობრძანდება ფოთში ან შუადღისას და ან საღამოთი. მაგრამ ეს ცნობა ტყუილი გამოდგა. მათი მეუფება მობრძანდა ფოთში 12 ნოემბერს, დილის $7^3/_4$ საათზე. ვინაიდგან მათი მეუფება მოულოდნელად მობრძანდა, ამიტომ სადგურზე მათ მეუფებას მიეგებნენ მარტო პოლიციის უფროსი, ქალაქის მოურავი, მომრიგებელი მსაჯული, კათედრის ტაძრის დეკანოზი და სხვანი. ადგილობითი მღვდელ-მთავარი გრიგორი, რომელიც ახალ-სენაკში თავის ნათესავებთან იყო, თან მოჰყვა ექსარხოსს. მათი მეუფება სადგურიდან პირდაპირ ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსის სახლში წაბრძანდა. აქვე შეიკრიბნენ ქალაქის წარმომადგენელნი, რომელთაც მოელაპარაკა ექსარხოსი, თუ რა პირობით შეიძლება, რომ ხსენებული სასწავლებელი სენაკიდან ფოთში იქნეს გადმოტანილი. მათ მეუფებას გადაწყვეტით არაფერი არ უბრძანებია, მხოლოდ ყოვლად სამღვდელოს გრიგორის უბრძანა თუ რა ცნობები უნდა შეკრიბოს მან, რომ ამ ცნობების წყალობით შესაფერი

მოხსენება გაიგზავნოს უწმ. სინოდში. აგერ 11 წელიწადია, ხსენებული სასწავლებლისათვის ირჩევენ ადგილს, და ეს კითხვა დღესაც სამუდამოდ გადაწყვეტილი არ არის. ზოგს ფოთში უნდა, ზოგს ახალ სენაკში და ზოგს მარტვილში. დღეს ფოთი იძლევა ადგილს და სხვა შემწეობასაც პირდება სასულიერო მთავრობას, თუ ხსენებული სასწავლებელი ფოთში იქნება გადმოტანილი. ამისათვის მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმირმა ინება ადგილობით დაეთვალიერებია როგორც ფოთი და ახალ-სენაკი, ისე ის ადგილები, რომელსაც სასულიერო მთავრობას პირდებიან სასწავლებლისათვის. ფოთში მათმა მეუფებამ დაათვალიერა ხუთი ადგილი. როცა მათი მეუფება რკინის გზის სადგურზე დაბრუნდა, აქ მათ წარუდგა ახალ-სენაკიდან გამოგზავნილი დეპუტაცია, რომელმაც განუმარტა მათ მეუფებას, რომ უფრო სასარგებლო იქნება სასწავლებლის დატოვება ახალ-სენაკშივე. ამ დეპუტაციასაც ის უბრძანა ექსარხოსმა, რაც ფოთელებს. ყველა წინადადება და საბუთები, ბრძანა მათმა მეუფებამ, მოხსენდება სინოდს და მისი საქმეა, რომელ ადგილსაც ამოარჩევს.

რადგან ახალ-სენაკში სასწავლებლის შენობა დაიწვა და სწავლა შეჩერდა, ამიტომ ფოთის ქალაქის თვით-მართველობამ განუცხადა საქართველოს ექსარხოს, რომ ქალაქი ახლავე მისცემს სასწავლებელს შესაფერს შენობას უფასოდ, სანამ სასწავლებლისათვის საკუთარი შენობა არ იქმნება აშენებულიო. სენაკელებიც არ ჩამორჩენ უკან ფოთელებს. იმათაც წარუდგინეს მათ მეუფებას სასწავლებლის დროებით გასამართავად თ. მხეიძის შენობა, რომელ შენობაშიაც უკვე დაიწყო სწავლა. (ახალი მიმოხილვა)

ახალი ეპეები და შენიშვნები.

ჩვენ შევიტყეთ ნამდვილი წყაროებიდან, რომ ყოვლად სამღვდელოს ალავერდის ეპისკოპოსს ბესარიონს ღაენიშნა იმერეთის ეპისკოპოსის ჯამაგირი, შტატისამებრ, 3000 მან. დღიდგან ყოვლად სამღვდელოს გაბრიელის გარდაცვალებისა.

***

11 ნოემბერს სოფ. ალისუბანში გაიხსნა მეორე კლასიანი სასწავლებელი. სკოლა გახსნა იმერეთის ეპარქიის მეთვალყურემ მღვ. მელიტონ კელენჯერიძემ შორაპნის სასწ. რჩევის განყოფილების წევრის ბლაღ. ივლიანე აბესაძის თანადასწრებით.

საკვირველთ-მოქმედი ილარიონ ქრთველი.
(ხსენება მისი 19 ნოემბერს).

ცხოვრება ღირსისა ილარიონისა პირველად აღწერილ იეო ბერძნის იმპერატორის ბრძანებით მისივე მოწაფის ვასილ მაკედონელისაგან, რომელიც ცხოვრებდა მეცხრე საუკუნეში. ბოლოს მეფე დავით აღმაშენებელის ბრძანებით იეო თარგმნილი ქართულს ენაზედ თეოფილე მონაზონის მიერ და დაბეჭდილია საქართველოს სამოთხეში».

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

სიტყვა,

ოცდამეხუთესა კვირიაკესა ზედა.

განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა

იგავი მოწყალე სამარიტელსა ზედა (ლუკა 10, 25—37).

დღეს წაკითხული სახარება, ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, გვიქადაგებს და შეგვაგონებს ჩვენ ქრისტიანულსა სიყვარულსა და მოწყალებას. ვგონებ, რომ წინაშე მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა არ არის საჭირო ვრცლად უბნობა მასზედა, თუ რა დიდი სათნოება არის მოწყალება. ეს იცის ყოველმა ქრისტიანე კაცმა, და არა თუ ქრისტიანეთა, არამედ სხვათა, უცხო სჯულის კაცთა, მაგალითებრ, მაჰმადიანთა, ურიათა დიდ სათნოებად მიაჩნიათ მოწყალება, და დიახაც სცდილობენ აღასრულონ იგი. გარნა ქრისტიანული მოწყალება დიდად ხანსხვავებულია მათი მოწყალებისაგან. თვით დღეს წაკითხული იგავი სახარებისაგან არა იმაზედ ლაპარაკობს, რომ მოწყალება დიდი სათნოება არისო,—ეს ყოველმა კაცმა იცის, როგორც ვსთქვით, —არამედ იმას, თუ როგორ უნდა აღასრულოს ქრისტიანემ ეს სათნოება, რომ იგი ნამდვილ ქრისტიანულ მოქმედებად შეიქმნას. როგორია ქრისტიანული მოწყალება? როგორ უნდა აღსრულდეს იგი? ამაზედ კი ფრიად საჭიროა ლაპარაკი წინაშე ქრისტიანეთა, ვინაიდგან არა ყოველნი ქრისტიანენი ქრისტიანულად აღსრულებენ მოწყალებას.

რასა შინა მდგომარეობს ქრისტიანული მოწყალება, და საიდგან წარმოდგება იგი? ქრისტიანული მოწყალება არის ბუნებითი გრძნობა კეთილი კაცის გულისა, გარნა უმეტესად განლვიძებული და გაღონიერებული სარწმუნოებითა. თუ კაცს გული არა აქვს გაფუჭებული და ზნეობა დაცემული, როდესაც დაინახავს შეწუხებულს და უბედურს კაცს, თვითონაც უნებლივად შესწუხდება, მისი სული თანაუგრძნობს მოყვასისა შეწუხებას და უნებლივად მოინდომებს რითიმე შეუმსუბუქოს მას მწუხარება.

მოწყალე იგი სამარიტელი თავის საქმისთვის მგზავრად მიდიოდა ერთი უდაბური გზით, და როდესაც დაინახა დაჭრილი და დაგდებული გზის პირზედ ავაზაკთაგან კაცი, უნებლივად შესწუხდა, გაჩერდა და დაიწყო შემწეობა მისი.

ვის უნდა უყოს კაცმა მოწყალება? ყოველს შეწუხებულს და გაჭირვებულს კაცს, ვინც გინდა იყოს იგი, თუ გინდ მახლობელი და მონათესავე კაცი, თუ გინდ უცხო, უცნობელი და სხვა სჯულის კაცი, ურია, გინდა თათარი. რაოდენადაც შეგიძლია და ვისდამიც შეგიძლია, ჰყავ მოწყალება. ერთი მხოლოდ გაარჩიე: ვინც უფრო გაჭირვებულია, წინა პირველად მას შეეწიე. ასე არ მოიქცა მოწყალე იგი სამარიტელი? იმან არ მიჰხედა მას, რომ დაჭრილი იგი კაცი იყო ურიათაგანი, რომელნი ემტერებოდენ სამარიტელთა. მან მხოლოდ ის იფიქრა, რომ კაცი, ადამიანი, გაჭირვებულია და საჭიროა მისი შეწევნა.

როგორ რა სახით უნდა აღასრულოს კაცმა მოწყალება ქრისტიანული? ამა კითხვაზე უფრო საჭირო არის გამოკვლევა. მრავალნი არიან ქრისტიანენი, რომელთაც უყვარსთ და კიდეც ჰყოფენ მოწყალებას, გარნა, სამწუხაროდ, არა ქრისტიანულად, და ამით ამცირებენ ფასსა მოწყალებისასა. მოწყალება უნდა აღასრულოს კაცმა, პირველად, კეთილი და მხიარული გულით და მისწრაფებით, ვითარცა ჰქმნა მოწყალე სამარიტელმა: როგორც დაინახა მან დაჭრილი მდებარე კაცი, მაშინვე ჩამოხდა ცხენიდგან, მივიდა მასთან. შეუხვია თავისი ხელით წყლულებანი მისნი, დაასხა ზეთი და ღვინო, შესვა თავის ცხენზედ, წაუძღვა წინ და მიიყვანა სასტუმრო სახლში და მიაბარა აქ მოსავლელად, სასყიდლის მიცემითა.

მეორედ უდიდესი და უმთავრესი საქმე ის არის, რომ მოწყალება ჴნდა აღასრულო უანგაროდ, განლვიძებულმა მხოლოდ ერთითა კეთილის გულის გრნობითა, მოყვასის სიყვარულითა და უმეტესად სარწმუნოებითა. არიან მრავალნი ქრისტიანეთა შორის, რომელნი აღასრულებენ მდიდრად და უხვად მოწყალებასა, ასობით და ათასობით მოახმარებენ ღარიბთა კაცთა; გარნა ამასთანავე უყვარსთ, რომ ქვეყანამ შეიტყოს, ბუკი დაკრან მათ მოქმედებაზედ, გაზეთებში დაბეჭდონ მათი მოღვაწეობა. ვგონებ, რომ ამით მოწყალება მათი ჰკარგავს ქრისტიანულს ხასიათსა და თვისებას. არა ესრედ მოიქცა მოწყალე იგი სამარიტელი! იგი არც ერთს ჯილდოს არ მოელოდა, მის მოქმედებას არავინ უყურებდა, ვერც ვინმე შეიტყობდა, რომ ქებისათვის და თავის მოწონებით ექმნას მას მოწყალება. იქმნება შენ გაგიკვირდეს, ძმაო, ესეთი აზრი, მაგრამ მაინც გეტყვი: როდესაც მოწყალებას რასმეს იქმ და კეთილს საქმეს, ნურც ის აზრი გაქვს მაშინ, რომ ღმერთი გარდამიხდისო, მაგიერს მომაგებსო. მართალია, ღმერთი ყოველ კაცს გარდუხდის მისი კეთილი საქმისათვის; საღმრთო წერილი პირდაპირ იტყვის, რომ, ვინც გლახაკს მოწყალებას მისცემს, ის ღმერთს ავასხებსო; მაცხოვარი გვეტყვის, რომ ვინც ერთ სტაქანს გრილ წყალს დაალევინებს მწყურვალე კაცს, არ დაჰკარგავს მისს სასყიდელს. გარნა. თუ შენ მოწყალებას აღასრულებ მარტო იმ აზრით, რომ ღმერთი მაგიერს მომცემსო, და არა ღვთის და მოყვასის სიყვარულით, მაშინ შენი მოქმედება უფრო დაემსგავსება ვაჭრობას; იგი დაჰკარგავს ნამდვილ ქრისტიანულ ხასიათს, და მიიღებს სახეს და ხასიათს ფრანგულს, ანუ კათოლიკებისას, და ერთის მხრით მაჰმადიანთა, რომელნიც კეთილ საქმეებს ისე ანგარიშობენ, როგორც ვაჭარი ფულის თავნს და სარგებელს.

გარნა, მივუბრუნდეთ კიდევ მშვენიერსა მოქმედებასა სამარიტელისასა, მისი მოწყალება არა თუ უანგარო იყო, არამედ მოითხოვდა თავის გამომეტებასაც. ადგილი იგი, სადაცა დაჰხვდა მას დაჭრილი კაცი, იყო საშინელი, და მრავალნი იღუპებოდნენ იქ ავაზაკებისაგან. წინედ მის მოსვლისა, იქ გაიარეს მღვდელმა და ლევიტელმა, გარნა, შიშისაგამო, ვერ გაჰბედეს იქ გაჩერება და შემწეობის მიცემა დაჭრილისათვის. სამარიტელმა არ მიჰხედა ამას ყოველსა, არ იფიქრა მან, რომ ავაზაკები, რომელთაც დასჭრეს კაცი იგი, მახლობლად იქმნებოდენ და მოჰკლავდენ მას, არამედ გამოიმეტა თავი და მისცა შემწეობა უბედურსა მას დაჭრილსა. ესრეთი თავის გამომეტება მოწყალების აღსრულებაზე, არის ნამდვილი ქრისტიანული მოწყალება, უმაღლესი სათნოება. როდესაც კაცი, არა თუ თვისი ქონებისა და ნაყოფისაგან ეწევა გაჭირვებულს კაცს, არამედ თვით სიცოცხლესაც აღარ ჰზოგავს მოყვასის გულისათვის, იგი აღსრულებს ჭეშმარიტად მცნებასა ქრისტიანულისა სიყვარულისასა; იგი ჰბაძავს თვით მაცხოვარსა, რომელმან თავი თვისი შესწირა ღმერთსა სახსრად ჩვენდა. ამინ.

მღვდ.-მოწ. აბიბოს ნეკრესის ეპისკოპოსი (ხსენება მისი 29 ნოემბერს).

განცხადებანი.

სახელმძღვანელონი და სხვა საკითხავი წიგნები,

დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მე-11-ტე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ სყიდვა არც სახატავებისა და არც დედანისა. ფასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მერვე გამოცემა შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხ-აბაზ უხალთუნი (90 კაპ.). უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც «მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა» და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მერვე, ფასი ორი შაური ნარდათ 8 კაპეიკი.

კონა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მეოთხე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა-ორ აბაზათ: წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნწულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, მეორე სურათებიანი გამოცემა ფ. 10 კ.

ხატის მიზეზი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შაური.

ასპინძის ომი საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით, და ქარტით, მეორე გამოც. ფასი 10 კ.

მირითადი უკუღმართობა, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო-ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

თავდადებულნი ქართველნი, ისტორიულნი მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შაური.

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданiе четвертое, цѣна тридцать копѣекъ, въ переплетѣ 40 копѣекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданiе третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподованiю русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части „Русскаго Слова" одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для ущащихъ„ одобрено для библiотекъ низшихъ и среднич учебныхъ заведенiй всего Кавказскаго учебнаго охруга, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденiя Господина Главноначальствующам. (смотри „Сборникъ" распоряженiй по управленiюоКавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967

Равнымъ образомъ одобрено и рекомедовано. „Русское Слово" духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

ყველა ეს წიგნები უმთავრესად იყიდება: თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ქუთაისში: ბექანეიშვილთან, ჭილაძესთან და ხეთერელთან, ბათუმში თავართქილაძესთან და კალანდაძესთან, ფოთში—ტულუშთან, ოზურგეთში და სენაკში თავართქილაძესთან, ლანჩხუთში ცინცაძესთან, სუეხუში ჭავჭიანიძესთან, ყვირილაში—არაბიძესთან, საჩხერეში ყარამან ჩხეიძესთან, სურამში და ხაშურში შურღაიასთან, გორში—კალანდაძესთან, თელავში—მიხეილ ცისკარაშვილთან, სიღნაღში ამხანაგობის მაღაზიაში, ვლადიკავკაზში მასწავლებელ ბოცვაძესთან. 15—9.

შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ ჟურნალში დასაბეჭდათ შემდეგი წერილები ეკლესიის სასარგებლოდ შეწირულებათა გამოსაცხადებლად:

I

«მ. რ! უმორჩილესად გთხოვ თქვენის პატივცემულის ჟურნალის „მწყემსის“ საშვალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც ჩემი მხრით ეგრეთვე ჩემი მრევლის მხრითაც სოფელს ჩუნეშს მცხოვრების თავადის ბესარიონ ბუჭუას ძის ლორთქიფანიძის მეუღლას კნეინა ნინას, რომელმაც შემოწირა ჩემდამო რწმუნებულს ცხუნკურის წმიდის გიორგის ეკლესიას ერთი ხელი ყოველი სამღვდელო შესამოსელი, ხუთი ვერცხლის ღილით, ღირებული ოც მანეთად, ერთი რწყვილი დაფარნა, ღირებული ოთხ მანეთად, ერთი ტრაპეზედ დასადგმელი სასანთლე, ღირებული ორ მანეთად, სახარებისათვის ლენტი აბრეშუმისა ოქრომკედით ზედ წარწერილებითა თავის მიცვალებულის მოსახსენებლად. ღმერთსა ვსთხოვ, რომ ამ პატივცემული პირის მიმბაძველი მრავალი აღმოჩენილიყოს!.

მღ. გიორგი ჯაში.

II

„მ რ! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთ „მწყემსის» საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ შემდეგ პირთ, რომლებმაც ჩემდამო რწმუნებულს ახალ შენის მაცხოვრის ეკლესიას შემოსწირეს შემდეგი ნივთები: 1 ფილიპე ბურჭულაძემ თალხი შესამოსელი და გარდამოხსნა ძვირფასი მატერიისა, ღირებული 80 მ. 2 მაქსიმე იესეს ძე ჩიგოგიძემ 12 საუფლო ხატი და ერთი წყვილი დაფარნა, ღირებული 30 მ. 3 ანუსი ცენტერამის გაგუას ასულმა სახარების მოსაჭედი, ღირებული 12 მ. 4) ოქროპირ ივანეს ძე ცენტერაძემ პატარა კანდელი, ღირებული 5 მ. 5) აზ. ივანე მალაქიას ძე შარაშიძის მეუღლა ეკატერინამ მღვთის მშობლის ხატი, ღირებული 5 მ. 6) რუსუდან სიხარულიძისა გუდავაძის ასულმა საკეცხლური, ღირებული 5 მ. 7) ალექსი ბიჭიას ძე ჩიგოგიძის მეუღლა სადიკომ ბარძიმის გასაწმენდი ხელსახოცი, ღირებული 3 მ. სულ 140 მანეთი.

სულით და გულით მადლობას ვსწირავ ზემოხსენებულ პირთ თავიანთი უხვი შემოწირულებისათვის.

მღვ. ანტონ კალანდაძე.

III

«მ რ! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემულის გაზეთის „მწყემსის“ საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ, როგორც მე ისე ჩემმა მრევლმა ქვემოთ აღნიშნულ პირთ, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულის ზოდის წმიდის გიორგის ეკლესიას შემოსწირეს შემდეგი: ნივთები ა) მოწამეთის მონასტრის მღვდელ-მონაზონმა მამა სპირიდონ ბაქრაძემ ტრაპეზზე დასასვენებელი ხის ჯვარი მთაწმინდის ხელოვნება ვერცხლით მოჭედილი, ღირებული 37 მან. და წმიდის გიორგის წინ დასაკიდებელი საზეთე, ღირებული 3 მან. ბ) აზნაურმა ილარიონ ოტიას ძე გამყრელიძემ სამრეკლოს თავზე დასადგმელი ჯვარი, ღირებული 20 მან. გ) მნათემ ამ ეკლესიისამ გლეხმა საჩინო სვიმონის ძე გაფრინდაშვილმა ერთი ემბაზი და ტრაპეზზედ გადასაფარებელი დიბა შეკერილი, ღირებული ორივე 20 მან.

მღვ. ალექსი ჯაფარიძე.

IV

«მ რ! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გამოცემის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ დიდათ პატივცემულს აზნაურს ყარამან გარსევანის ძეს მაჭავარიანს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა რწმუნებულს ჩემდამო ორღულის წმიდის გიორგის ეკლესიას ერთი დიდი ზარა, და ერთი დიდი კანკელი, ღირებულნი 180 მან.

მღვ. ირაკლი აბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებანი.

ისყიდებიან

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში— «მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში, ძმ. ჭილაძეების, წერეთლების და ვ. ბექანეიშვილის წიგნების მაღაზიებში და ყვირილაში—თვით გამომცემელთან.

1. საეკკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მე ამე. მართლ-მადიდებელი ეკკლ. უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სეროზა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანის სრულს თვეთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვ. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 50 კ. და უყდოთ . . . 40 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ვრცელი პანაშვიდისა, ფასი . . . . 10 კ.
3. ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 30—

2, სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება სალმრთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც უწმ. სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო სალმრთო სჯულისა საეკკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დაწყებით სკოლებში—ფასი . 30 კ.
2. იგივე დარიგება სალმრთო სჯულის სწავლაზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლების ნიშნებით—ფასი . . 50 კ.
3. დაწყებითი გაკვეთილები სალმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
4. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . 40 კ.
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი— ფასი ყდით . . . . 20 კ.
6. საქართველოს საეკკლესიო ისტორია ფასი 45 კ.

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალი კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან—ფასი . . . 1 მ.
2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—
3. ჩვენებური «ბატონები» და ექიმების ბაცილები და ბაქტერიები . . . . 5 კ.

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . 25 კ.
2. გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 25 კ.
3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4. მთავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5 კ.
5. ვარძიის მონასტერი, ფასი . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . 2—
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით. . . 2—
4. შობა უფლისა . . . . . . 2 კ.
5. მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
6. ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
8. აღდგომა სურათით—ფასი . . 2—
9. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—

6. მოთხრობანი დაბადებიდან.

1. მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
2. მათერი (მოთხრობა დაბადებიდამ) სურ. 5—
3. სიბრძნე იესო ძისა ზირაქისა, სურათით. . 5—
4. იოსები . . . . . 5—

მიიღება ხელის-მოწერა 1897 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— ,, ორივე გამოცემა 5 »	— ,, ორივე გამოცემა 3 »
— ,, რუსული ,, 3 მ.	— ,, რუსული ,, 2 »

ისყიდება

საქველმოქმედოდ

თამარ-მეფის

და

შოთა რუსთაველის

სახიანი

ფოსტის ქაღალდი

თბილისის და ქუთაისის ქართულ წიგნის მაღაზიებში

ფურცელი თითო კაპეიკად.

მოგებული თანხიდან ნახევარი შეეწირება **ზეპირ-სიტყვაობის ფონდს** და ნახევარიც მოხმარდება იაფ-ფასიან და მუქთად დასარიგებელ **სახალხო წიგნაკების** გამოცემას.

მსურველთ შეუძლიათ მოიკითხონ «კვალის» რედაქციაში, ან დაიბარონ ფოსტით დ. ყვირილიდამ მიხეილ ბარამაძისაგან.

მოკლეს ხანში გამოვა სხვა მოღვაწეების სახიანი ქაღალდიც.

კერძო საავათმყოფო ამბულატორიითურთ

ს. ბ. თოფურიასი

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს

ექ. ს. ბ. თოფურია.

ხირურგიულ შარდით და სიფილისით

ექ. ფ. კ. ბერრატი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიოს ქალი

ექ. მ. ფ. კაგანი.

თვალების ავათმყოფისათვის

ექ. ი. კ. ვარშავსკი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა. (10—5)

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ოფიციალური განყოფილება: უწმ. სინოდის გარდაწყვეტილება.—

სალიტერატურო განყოფილება: ჭეშმარიტი დედა სალომე თავდგირიძის ქალი.—იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ცხოვრებიდან-—გაბრიელ ეპისკოპოსის სურათზე (ლექსი). —მიბრძანება მთავარ-ეპისკოპოსის საქართ. ექს. ვლადიმირისა ახალ-სენაკში და ფოთში 12 და 13 ნოემბერს.—

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე: სიტყვა ოცდამეხუთესა კვირიაკესა ზედა, თქმული განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ.

— შეწირულებანი, და განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 ноября 1896 г. ✦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр.Ханановыхъ, па Нѣмецкой ул.